საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-09/185

ქ. ბათუმი 09 მარტი, 2018 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ სტატუსშეჩერებულ პირთათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, რომელთა სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით გავიდა 5 წელი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 28 თებერვლის MES 5 18 00229365 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილ იქნა იმ სტუდენტთა სია, რომელთაც 2013 წელს შეუჩერდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტი, რომელსაც 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აქვს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული, ექვემდებარება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას. გამომდინარე იქედან, რომ სტატუსშეჩერებულ პირებს არ გამოუყენებიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებითა და ბსუ-ს წესდებით მინიჭებული უფლებამოსილება (სტუდენტის უფლებებში აღდგენა), დღევანდელი მდგომარეობით მათი სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან გასულია 5 წლიანი ვადა, კანონშესაბამისია მათ მიმართ გამოიცეს ბრძანება ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1]-ე, 72 - 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 28 თებერვლის MES 5 18 00229365 მოხსენებითი ბარათის, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 06 თებერვლის №01-08/7 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეეწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ სტატუსშეჩერებულ პირებს (დანართი 1), რომელთა სტუდენტის

სტატუსის შეჩერებიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით გავიდა 5 წელი.

2. დაინტერესებულ პირებს (**დანართი 1**) ეცნობოს, რომ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში, სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
3. ბრძანება ჩაბარდეთ **დანართი 1-ით** განსაზღვრულ სტუდენტებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე, პროფესორი **თამარ სირაძე**

დანართი 1

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	უმაღლესი განათლების საფეხური	სტატუსის შეჩერების დრო, ბრძანების №
1	შარაშიძე ნინო		ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	№01-09/2 11.01.2013
2	ჯოგლიძე ნათია		ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	№01-09/2 11.01.2013
3	მაჭარაშვილი სალომე		ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	№01-09/2 11.01.2013
4	თევზაძე თამთა		ქართული ფილოლოგია	ბაკალავრიატი	№01-09/2 11.01.2013
5	დათუაშვილი სალომე		თურქული ფილოლოგია	ბაკალავრიატი	№01-09/2 11.01.2013
6	აბუსელიძე სოფიკო		საფაკულტეტო	ბაკალავრიატი	№01-09/2 11.01.2013
7	ჭრელაშვილი მადონა		საფაკულტეტო	ბაკალავრიატი	№01-09/2 11.01.2013
8	ძნელაძე ლევან		საფაკულტეტო	ბაკალავრიატი	01-09/2 11.01.13
9	კომლაძე თამთა		თურქეთისმცოდნეობა	ბაკალავრიატი	01-09/2 11.01.13
10	გრიგოლია სალომე		თურქეთისმცოდნეობა	ბაკალავრიატი	01-09/71 27.02.2013
11	მუსლიმპური მარიამ		თურქეთისმცოდნეობა	ბაკალავრიატი	01-09/80 28.02.2013
12	ბერიძე ბაჩანა		საფაკულტეტო	ბაკალავრიატი	01-09/64 26.02.2013